შაბათი, მაისის 17 1919 წ. ფასი 1 მანეთი. № 88.

წ ე ლ ი წ ა დ ი მ ე ს ა მ ე

ჩვენი ქვეყანა

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის ორგანო

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში აღნიშნული უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი, დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს. ინახება მხოლოდ დიდი მოთხრობები.

რედაქცია ღიაა: დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: ქუთაისი, თფილისის ქ., ფიჩხაძის ს. **ფოსტის ადრესი:** ქუთაისი ფოსტის ყუთი № 80.

კანტორა

გაზეთის ფასი; ერთი თვით 20 მან. 3 თვით 50 მ. **განცხადების ფასი:** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მ. და 50 კ. უკანასკნელზე 1 მ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. **სამგლოვიარო განცხადება:** თითოჯერ არა უმეტეს სამი გამოცხადებისა 12 საათამდე 25 მ., 12 საათის შემდეგ 30 მან.

კანტორა ღიაა: დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. **ფოსტის ადრესი:**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვირას, 18 მაისს, (ახალი სტილით) მთავარ-ანგელოზის მკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი

ევგენტი ივანეს ძე ნარსიას

სულის მოსახსენებლათ რასაც მწუხარებით ვაუწყებთ ნათესავ-მეგობარ-ნაცნობთ გაუბედურებული მეუღლე მისი ელისაბედ ნიკოს ასული ნარსიას შვილებითურთ.

3—2.

ღრმად დამწუხრებულნი შვილები: ანტონ მიხაილის ძე მამულაშვილი, ელენე მიხაილის ასული ლისოვსკისა, მარიამ მიხაილის ასული კოკოჩაშვილის ქვრივი და მათი შვილები აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ 15 მაისს დილის 9 საათზე გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი დედა

სოფიო იაკობ ანდრონიკოვის ასული მამულაშვილისა.

გამოსვენება მოხდება შაბათს, 17 მაისს დილის 10 საათზე, მარიამ კოკოჩაშვილის სახლიდან, კათოლიკების ქ., კათოლიკების ეკლესიაში და შემდეგ საფიჩხიის სასაფლაოზე, პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე.

2—2.

18 მაისს ახალი სტილით, დღით კვირას, სოფელ კულაშში ჯვარცმის ეკლესიაში დანიშნულია ორმოცის წირვა და პანაშვიდი

სოფიო ნიკოლოზ ლორთქიფანიძის ასულის მიქელაძისა,

რასაც ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ დები: ფეოდოსი ნიკოლოზის ასული გუგუნავასი და ელენე ნიკოლოზის ასული ლორთქიფანიძისა, ძმა სიმონ ნიკოლოზის ძე ლორთქიფანიძე, რძალი მარია ივანეს ასული ლორთქიფანიძისა, სიძე მიხეილ ლევანის ძე ლორთქიფანიძე და ძმისა და დის შვილები.

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ნინო ივანეს ასული მეუნარგიასი; შვილები: შიშა, სალომე, ნინო, ვერა და ელისაბედი; სიძეები: ბეჟან ვასილის ძე ხუნდაძე, გიორგი სერაფიონის ძე შენგელია და მელიტონ აფაქიძე აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი

იონა მიხეილის ძე მეუნარგიას

გარდაცვალებას ქ. ახალსენაკში, დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

3—2.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საგუბერნიო კომიტეტი აუწყებს ქართველ საზოგადოებას რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ 14 მაისს ქ. ახალსენაკში გარდაიცვალა ლიტერატორი და ცნობილი საზოგადო მოღვაწე

იონა მიხეილის ძე მეუნარგია

2—2

ღრმა მწუხარებაში მყოფნი ცოლი მარიამ მოსიძისა, დედა კატო, და სოფიო და ბიძები: სპირიდონ, კოწია და ვასილ მოსიძეები, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ შაბათს 17 მაისს დილის 10 საათზე იქნება ს. ბოკითში მაცხოვრის ეკლესიაში გადახდილი წირვა და პანაშვიდი მათი დაუვიწყარის

ელიზბარ (ჭაჭულო) გრიგოლის ძის მოსიძის

სულის მოსახსენებლათ. 1—1

ღრმად დამწუხრებულნი შვილები: კუკური (რაფი) ციცინა და ბიძინა ნიჟარაძეები, სიძე ვლადიმერ მაკაროვი აუწყებს ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ კვირას დილის 12 საათზე მთავარანგელოზის ეკლესიის გალავანში გადახდილი იქნება პანაშვიდი ახლად გარდაცვალებულის

დეკ. ბესარიონ შიოს ძე ნიჟარაძის

სულის მოსახსენებლად. 2—1.

დავკარგე 13 მაისს საღამოს შემთხვევით პოლ. ქუჩაზე 2500 მან., მასთან წლიური პასპორტი. ვსთხოვ მნახველს ნუ დამსჯის ნივთიერათ, დამიბრუნოს 1500 მანეთი და ბილეთი. მისამართი: პოლიციის ქუჩა გრიქუროვის სეული სახლი, სარქის იაგორის ძე მირიგოზოვი. 1—1

ექიმი ბიკტორ ნიკიფორეს ძე ხუსკიმაძე ღებულობს ავათმყოფებს დილით 9—2 საათამდე, საღამოს 4—7 საათამდე. ძველი თბილისის ქუჩა, ქორქაშვილის სახლი. 24—7

კბილის ექიმი ნ. ა. ფხეიძე ღებულობს ავადმყოფებს დილით 9—3 საათამდე. ივანოვის ქუჩა, დუჩაიძის სახლი. 24—3

ქუთაისი, მაისის 17.

სახელმწიფო მაისის 26 ერთი წელიწადი **სოც.-დე-** და შესრულდება, რაც სა- **მოკრატია** ქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოს სახით ჩამოყალიბდა და საკუთარი ძალებით პოლიტიკური ცხოვრების ფერხულში ჩაება.

მთავრობა და პოლიტიკური ჯგუფებიც ემზადება ამ დღისათვის, რომ დამოუკიდებლობის წლის თავი იდღესასწაულონ ისე როგორც თავისუფალ ერს შეშვენის.

ამ დღეს ქალაქები მოირთება დროშებით, ყველაფერი დღესასწაულის სახეს მიიღებს და წარმოითქმება პათოსით დაუსრულებელი სიტყვები.

26 მაისი ფას დაუდებელი დღეა საქართველოსთვის, ქართველი ერისთვის, როგორც დღე მონობისგან განთავისუფლებისა. მაგრამ მიუხედავათ ამისა ქართველი ხალხი ერთი წლის განმავლობაში დიდტანჯა სოც.-დემოკრატების ჭირიანობით.

გაბატონებული პარტიის დაუდევრობამ და მოქმედებამ ქვეყანა დაღუპვის გზამდის მიიყვანა. ჩვენ გვგონია ს. დემოკრატები მიხვდებოდენ თავიანთ შეცდომას და სახელმწიფოს საქმეებში მაინც დაიწუბებდენ თავს პარტიულ ჟინიანობას და საპასუხისმგებლო მოვალეობას ისეთ პირებს ჩააბარებდენ, რომელნიც ხალხისაგანაც ნდობით იქმნებოდენ აღჭურვილნი და დაკისრებულ საქმესაც სათანადოთ გაუძღვებოდენ.

მაგრამ იმედები იმედებათ რჩება.

ჩვენში ბევრი მოიპოება: გამოცდილი ადმინისტრატორი, მოსამართლე, ფინანსისტი და სხვები, მაგრამ სოც. დემოკრატიული პარტიის მანდატის უქონლობის გამო სამსახურს გარეთ რჩება. სამაგიეროთ საპასუხისმგებლო პოსტებზე მოიწვევენ ისეთ პირებს, რომელთაც არც ცოდნა შესწევთ და არც გამოცდილება, მხოლოდ მოეპოვებათ მანდატები სოც. დემოკრატიული კოლექტივებისა.

არსათ არ მოიპოება ისეთი სახელმწიფო, ლენინის ბოლშევიკური რუსეთის გარდა, რომ სახელმწიფოს მართვა-გამგეობა ერთ პარტიას ჩაუგდოს ხელში.

საზოგადოთ ცნობილია, რომ ჩვენი სოციალ დემოკრატია დარიბია ინტელიგენტური ძალებით, რაც სახელმწიფოებრივი აპარატის ასამუშავებლად აუცილებელია.

მართალია ყველა მათ მომზადებული

პირებიც, მაგრამ მათი რიცხვი ისე მცირეა, რომ საკუთარი ძალებით სახელმწიფოს ვერ ააშენებენ, რაც უკვე დაეტყო ჩვენს დემოკრატიულ რესპუბლიკას.

ასეთი საკუთარი ძალების უყოლობის გამო მართველი პარტია პარტიული ეგოიზმით ფხვრხულ მდგომარეობაში ვარდება.

პროვინციებიდან ცენტრისაკენ იწვევს ასე თუ ისე საჭირო პირებს და პროვინციების ბატონობას კი აბარებს ყოვლად მოუმზადებელ პირებს.

ასეთ მაგალითს ამ დღეებში ქუთაისშიდაც ჰქონდა ადგილი. გაზეთის ცნობით ქუთაისის მაზრის ერობის გამგეობის თავმჯდომარე კ. სულაქველიძე დანიშნა შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრატიული ნაწილის ინსპექტორის მოვალეობის აღმასრულებლად ქ. თბილისში.

შეიძლება ითქვას, რომ კ. სულაქველიძე ერთად ერთი პიროვნება იყო ს. დემოკრატების წრიდან ქუთაისში, რომელსაც ცოდნა შესწევდა და ღირსეული თავმჯდომარე იყო სამაზრო ერობისა.

სოციალ-დემოკრატები, რომ ყველაფერს პარტიული თვალთახედვით არ ზომავდენ, იმ ახალ პოსტზე,—რომელიც ბ. სულაქველიძეს მისცეს სხვა პარტიებიდან გამონახავდენ შესაფერ პირს და ქუთაისის მაზრის ერობას უთავოდ არ დასტოვებდა. მაგრამ ეს მოხდა და ეხლა კითხვა იბადება: ვის შესთავაზებს სოც.-დემ. პარტია ერობის გამგეობის თავმჯდომარეობას? ცხადია „თავისიანს“.

და ამ „თავისიანებში“ არის ჩამარხული ჩვენი ხალხის ტრაგედია, ჩვენი სახელმწიფოს დასუსტება.

თუ სოციალ-დემოკრატიამ ასეთ პოლიტიკას თავი არ დაანება, ჩვენი სახელმწიფოს ბედი უკუღმა დატრიალდება.

პრესა.

ადმინისტრაციის გადახალისება.

სოც.-დემოკრატიული პრესაც ალაპარაკდა ჩვენი ადმინისტრაციის უვარგისობაზე. ამაში ჩვენ დიდი ხანია დარწმუნებული ვიყავით, მაგრამ მართველი პარტიის ლეიბ ორგანო „ერთობა“ ჩვენზე კბილებს იღესავდა და პარტიულ ამხანაგებს—ადმინისტრაციის ხელმძღვანელებს თავ გამოდებით იცავდა.

ეს იყო რამდენიმე დღის წინად, ეხლა კი თვით გაზ. „ერთობა“ სწერს:

„ადმინისტრაციის მოწყობის საკითხი საჭირბოროტო კითხვათ გადაიქცა. როგორც ვიცით, ადმინისტრაცია გადაეცა ერობებს და ქალაქებს. შინაგან საქმეთა სამინისტროს დარჩა მხოლოდ კონტროლის უფლება. ერობები და ქალაქები მეტად სუსტი აღმოჩნდენ და ადმინისტრაციის უვარგისობა საერთო განგაშის საგნათ იქცა. ბევრი რამ უშლის ხელს ადმინისტრაციის გაჯანსაღებას. უმთავრესი მიზეზია რასაკვირველია, ჩვენი გარდამავალი ხანა, რომლისგან შექმნილი ობიექტიური პირობები ქმნიან ისეთ ფსიხოლოგიას, როცა ასე ძნელი ხდება ამა თუ იმ წესის ჩამოყალიბება და მისი განზრახულ კალაპოტში ჩაყენება. ეს გრძელი პროცესია და მისი საბოლოვო ლიკვიდაცია დრო და ჟამის საქმეა. მაგრამ არის მეორე რიგის მიზეზები. რომლის მოგვარება უფრო ადვილია და დამოკიდებულია ჩვენს ენერგიაზე და უნარზე.

დღეს ადმინისტრაციის მოხელენი უმეტეს შემთხვევაში თავის თავის ანაბარაა. მათ არ იციან რა ქნან და როგორ მოიქცენ. არ აქვთ შეგნებული თავის მოვალეობა იმდენათ, რამდენათ ამას ითხოვს მისგან რესპუბლიკა და მისი ინტერესები. არ გრძნობენ პასუხისმგებლობას და თავის თანამდებობას უყურებენ ისე, როგორც შემთხვევით რამეს.“

სოც. დემოკრატები, როდესაც საქმეს წაახდენენ, მიზეზად გარდამავალ ხანას დაასახელებენ და ამ გვარად თავს იმართლებენ. რა შუაშია აქ გარდამავალი ხანა, ან რევოლიუცია, როდესაც ადმინისტრაციის სათავეში უფრო ხშირად ისეთ კაცებს აყენებდენ, რომელთაც ციხეებისა და „კატორღების“ მეტი არაფერი უნახავთ. იქნებ ს. დემოკრატებს ჰგონიათ რომ გარდამავალი ხანის ბრალია ისიც, რომ დღემდის ჯარის საკითხი ვერ მოაგვარეს.

ან როგორ უნდა მოაგვაროს და გადაახალისოს მართველმა პარტიამ ადმინისტრაცია, როდესაც ადმინისტრაციის უმთავრეს შემადგენლობაში მილიციელთა შორის შექმნა პროფესიონალური კავშირი და ეს კავშირი ირჩევს ისეთ უფროსებს როგორც თვითონ მოესურვებათ.

უკანასკნელი ცნობები.

ბაქო. ამ დღეებში პოლიციამ მიიღო ცნობა, რომ ბაილოვში მყოფი 5 ბალშევიკთა ემისრებს განზრახული აქვთ გაიტანონ ბაქოდან 22 მილიონი მანეთი ნიკოლოზის ფული და რადიო ტელეგრამის სადგური. 11 მაისს ნავთსადგურის უბნის გაძლიერებული რაზმი გარს შემოერტყა იმ შენობას, სადაც ბოლშევიკთა მეთაურები იმყოფებოდნენ და დაატუსაღეს 2 მათგანი; დანარჩენმა სამმა გაქცევა მოასწრეს. დატუსაღებულ მეთაურებმა უარი განაცხადეს განზრახვაზე, რადიო ტელეგრაფის სადგურის გატანის განზრახვაში ისინი გამოტყდნენ, მხოლოდ აპარატის ადგილ-მდებარეობის ჩვენებაზე უარი სთქვეს.

მთავრობაში

9 მაისის სხდომაზე მთავრობამ დაადგინა:

— ნება მიეცეს სამხედრო მინისტრს ტყვედ წაყვანილების ოჯახთა დასახმარებლათ გადადებულ (20,000 მანეთი) თანხის ნაწილი მოახმაროს დაბრუნებულ ტყვეებს.

— სამხედრო სამინისტროს საადმინისტრაციო განყოფილების განკარგულებაში გადაიდოს 268,558 მან. 19 კაპ, სამხედრო ფონდიდან, უწყების 1918 წლის ვალების გასასტუმრებლად.

— გადაიდოს სამხედრო მინისტრის განკარგულებაში 20,000 მან. სამხედრო ფონდიდან სამხედრო პირთა დასაკრძალავ ხარჯების დასაფარავად.

— თბილისის საგანგებო სასამართლოს ბრალდებული ან. ალ. ვასილიევი განთავისუფლებულ იქმნას თანამდებობიდან.

— 1) ფოთის ქალაქის თვითმართველობას ნავთსადგურის მის გამგებლობაში გადასვლაზე უარი ეთქვას. 2) ფოთის ნავთსადგური დარჩეს მთავრობის ხელში და გადავიდეს გზათა უწყების გამგებლობაში.

— კანონ-პროექტი სახალხო სკოლის მასწავლებელთათვის ხუთწლეული დამატებათა დაწესების შესახებ, მოწონებულ იქმნას და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას.

— პროექტი სავაჭრო ხელშეკრულებისა კავკასიის რესპუბლიკათა შორის გადაეცეს დასკვნისათვის იუსტიციის მინისტრს.

— პროექტი დეკრეტისა სამოქალაქო უწყებათა სახელმწიფო მოხელისათვის ჯამაგირების მომატების შესახებ მოწონებულ იქნას ზოგიერთ შესწორებებით.

— გაეხსნას შინაგან საქმეთა მინისტრს 200,000 მანეთის კრედიტი საბეითლო უწყების მოხელეთა, დროებით შესანახად და საქონლის ჰირთან საბრძოლველად.

— გადაიდოს შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებაში 50,000 მანეთი, სამინისტროს ყოფილ მოხელეთათვის საპენსიო ფულის მისაცემათ.

— გადაიდოს მიწად მომქმედების მინისტრის განკარგულებაში 200,000 მანეთი სახელმწიფო მამულების მუშების ჯამაგირებით დასაკმაყოფილებლად.

— გადაიდოს მიწათ-მოქმედების მინისტრის განკარგულებაში 60,000 მანეთი ბორჯომის სახელმწიფო მამულების შემოსავლიდან, ბაკურიანის რაიონის გასაწმენდათ.

— წინადადება მიეცეს ფინანსთა მინისტრს გადაგზავნოს სოხუმის ხაზინაში სათანადო თანხა ადგილობრივ საჭიროებისათვის.

— პრინციპიალურად-მთავრობას ამიერ კავკასიის უნივერსიტეტისათვის დახმარების აღმოჩენის საწინააღმდეგო არაფერი აქვს, ხოლო წინადადება მიეცეს განათლების მინისტრს წარმოუდგინოს მთავრობას იმ პროფესორთა სია, რომელიც ამ ჟამად ამიერ-კავკასიის უნივერსიტეტში მოღვაწეობენ.

გერმანული პრესის ცნობები.

(საქ. დეპ. სააგენტო).

გერმანიის დელეგაცია საჭიროთ სთვლის ვერსალის კონფერენციაზე მოიწვიონ მუშათა კავშირის და ადგილობრივ ორგანიზაციების წარმომადგენლები, რათა მუშებმა მონაწილეობა მიიღონ მუშათა საერთაშორისო უფლების შემუშავებაში. კონფერენციაზე ამის შესახებ მოლაპარაკების საფუძველად უნდა დაედოს ბერნის მუშათა კონგრესზე 1919 წ. თებერვლის 5 მიღებული დადგენილებანი.

ფრანგული და ინგლისური გაზეთები ხმებს ავრცელებენ, რომ გრაფი ბროკდორფ რანტცაუ ცდილობს კონტრაქტი დაამყაროს ვილსონსა და ლოიდ ჯორჯთან. „დეილიმე-ექსპრეს“-ის ვერსალელი კორესპოდენტი იუწყება, რომ ამაზე ფიქრიც კი დაუშვებელია, თუნდაც იმიტომ, რომ ყოველი ასეთი ცდა უშედეგო იქნება. მოწინააღმდეგის პრესის ცნობა, რომ რანტცაუ აუცილებლად წავა ვერსალიდან, გამოგონილია.

დროებითი ზავის გერმანიის კომისიის ცნობით დიდი წვალების შემდეგ მოკავშირეებმა ნება დართეს, რომ გემი „ოსტზეე“ რიგაში წავიდეს, იქიდან დიდ გასაჭირში მყოფ გერმანელთა ჩამოსაყვანათ, და გემი „ჰანოვერი“ რვეულსა და ლიბავაში წავიდეს აგრეთვე გერმანელების ჩამოსაყვანათ.

წიკოლაევიდან სალონიკში გაგზავნილი და სტამბოლში დარჩენილი გერმანელთა ჯარები, ეხლა უკან ბრუნდებიან.

ოპელნში დიდი დემონსტრაციები გაიმართა ვერსალის საზავო წინადადების გამო პროტესტის ნიშნათ. გადასწყვიტეს, რომ თუ მოკავშირეებმა ძალა დაატანეს გერმანიას თავისი საზავო პირობების მიღებაში, მაშინ უნდა შეიარაღდეს ყველა, ვისაც იარაღის ტარება შეუძლია.

გერმანიაში მსჯელობენ ფრანგულ გაზ. „ჰუმანიტე“-ს შემდეგი აზრის შესახებ. იმათაც კი, ვინც ამ ჟამად ნდობით უყურებს ზავის საქმეს, იციან, რომ სამართლიანობის სახით წარმოდგენილი ზავი უსამართლოა. მხოლოდ კაპიტალისტურ პარტიას შეუძლია მისი მიღება. საფრანგეთის პროლეტარიატი ეხლავე უარს აცხადებს ასეთი ზავის მოწერაზე და უახლოეს დღეებში პროტესტს განაცხადებს.

აღნიშნავენ აგრეთვე „ჟურნალ-დეპეშ“-ის კრიტიკას. ამ გაზეთში მოთავსებულია წერილი შემდეგი სათაურით: „ზავი უხალხოთ“, რომელშიაც ნათქვამია: ის, რასაც ეხლა სამართლიან ზავს უწოდებენ, ფარულად წარმოებული ომია. მხოლოდ სოციალურ რევოლიუციას შეუძლია ბოლო მოუდოს ხოცვა-ჟლეტას.

გროსბერლინის მუშათა დეპუტატების საბჭოს სხდომაზე დამოუკიდებელთა სახელით რიხარდ მიულერმა განაცხადა: „ჩვენი მორიგი საქმეა: შევამსუბუქოთ ჩვენთვის ნაკარნახევი ზავი. დამოუკიდებელნი მოითხოვენ ცალკე მოლაპარაკებას მუშათა საბჭოების წარმომადგენლებთა გასთქვან თავისი შეხედულება ზავის საკითხის შესახებ. მხოლოდ საერთაშორისო პროლეტარიატის მსოფლიო იმპერიალიზმის წინააღმდეგ მედგარი ბრძოლით შეიძლება მტკიცე ზავის და სოციალიზმის გამარჯვების მოპოება.

ცენტრის პარტიის მთავარი ორგანო „გერმანია“ სწერს: „გერმანიის კათოლიკები არ იზიარებენ „მსოფლიო რევოლიუციის“ ლოზუნგს. მაგრამ მათ სურთ, რომ მათი ხმა გაიგონ მოწინააღმდეგის ქვეყნებში. არა დროს ზავი ისე არ ეწინააღმდეგებოდა ქრისტიანულ სულს, როგორც ეხლა. მთელი ქვეყნის კათოლიკებო, შეასრულეთ ეხლა თქვენი ვალი“.

შაბათს, სამხრეთ-დასავლეთ აფრიკიდან როტერდამში 1400 კაცი ჩამოვიდა. მათ შორის არიან ახალშენის გუბერნატორის ქალები და ბავშვები.

სტოკჰოლმის გაზეთი „ნია დაგლაიტ ალეგანდა“ მოკავშირეთა საზავო წინადადების შესახებ სწერს: „ეს ზავი გამოიგონა არა ვილსონმა ან თუნდ კლემანსომ და ლოიდ ჯორჯმა, ან სხვა რომელიმე სახელმწიფო მოღვაწემ და არც დაუნდობელმა გამარჯვებულმა. ეს ზავი შექმნა თანამედროვე კომერციის და შეძენის სურვილმა, რათა დედამიწის ზურგი მხოლოდ ექსპლოატაციის საგნათ გადააქციონ. „მათთვის ხალხი და ქვეყნები დაუნდობელ სპეკულიაციის უბრალო საგანია. ომის დაწყების დანაშაულის შესახებ უნდა ითქვას, რომ ის ძალები, რომლებიც ეხლა მონაწილეობას იღებენ საზავო მუშაობაში, ომამდისაც არსებობდა, კატასტროფას ხელს უწყობდა ისე, როგორც ეხლა ისინი ხელს უწყობენ ომის შედეგების თავის მოსაყრელათ.

ინგლისური პრესის ცნობები

(საქ. დეპ. სააგენტო)

ლიონიდან იუწყებიან ადმირალ კოლჩაკის მიერ ნათქვამ სიტყვის ერთი ნაწილის შინაარსს. ამას წინად მოპოებულ გამარჯვების აღნიშვნის შემდეგ კოლჩაკმა განმარტა თავისი სამხედრო გეგმები. არტილერიის მოძრაობა ბრკოლდება, რადგან დაიწყო წყალდიდობა და მდინარეებზე ყინულის დენა. სამხედრო მოქმედება მცირე ხნით შესწყდა, მაგრამ ძალე ისევ განახლდება. ვცდილობთ არხანგელსკთან დავამყაროთ კავშირი და განვამტკიცოთ იგი და როგორც კი მთელი ვოლგის ხაზს დავიპყრობთ, მაშინვე ვეცდებით კავშირი დავიპიროთ სამხრეთით დენიკინის არმიასთან. მაშინ დაიწყება მოსკოვისკენ შეტევა. მოსკოვის აღება არის საბოლოო მიზანი, რომლისკენაც ჩვენ უნდა ვისწრაფოდეთ. მაგრამ მანამდე უნდა მივალწიოთ წმინდათა სტრატეგიულ მიზანს—სამ. ჯარის განადგურებას. ასეთია საბოლოო მიზანი, რომელსაც მთელი ყურადღება უნდა მივაქციოთ. რუსეთის პოლიტიკურ ორგანიზაციის შესახებ ადმირალმა კოლჩაკმა სთქვა: „როდესაც ჩვენი გამარჯვება უზრუნველყოფილი იქნება, მაშინ ძალაუფლებას გადავცემ მუდმივ მთავრობას შემდეგნაირათ: დამფუძნებელ კრების მოწვევა, რომელიც დაამყარებს მომავალ მართველობას, დიდ მზადებას მოითხოვს. ჩემი აზრით, მთავრობა ვერ შეასრულებს თავის საქმეს თუ მას არ დაეხმარენ. მე განზრახული მაქვს, ასეთი დახმარება შევქმნა ისეთი საბჭოს სახით, რომელშიაც შვლენ: ერობათა და ქალაქის თვითმართველობათა და აგრეთვე დიდ პოლიტიკურ ორგანიზაციათა წარმომადგენლები, რომელთაც გამოცდილება აქვთ. ეს საბჭო მთავრობასთან ერთად იმუშავებს სახელმწიფოს დასაწ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლათ, შეიმუშავებს დამფუძნებელ არჩევნების საფუძვლებს და მო- ამ არჩევნებს, როდესაც დამფუძ- კრება შესდგება, მე მხოლოდ მოვალეობა დამრჩება, მოკრძალე- შესრულო მისი გადაწყვეტილება- შინ დამფუძნებელ კრების მიერ ულ მთავრობას დანიშნულ ვადაზე რობებში გადავსცემ იმ ძალა-უფ- , რომლის მატარებელიც ვიქმნე- ავი. შემდეგ კოლჩაკი აცხადებს, ის იბრძოლებს ბოლშევიკების წი- დეგ რუსეთის აღსადგენათ. მის გარ თავმოყრილ რუსებს მხოლოდ თა- თავის იმედი უნდა ჰქონდეთ. მაგ- მიუხედავათ ამისა, მოკავშირეებს ძლიათ მათ დახმარება გაუწიონ იარა- ამუნიციის, ჯარის კაცთათვის ტა- მოსის და სხვა მასალის გამოგზავნით. გვჭირია ჩვენ, განსაკუთრებით კი რია თოფები და ტყვიები, რათა სა- თა რუსეთის სანაბიროების გარემოცვა რძელოთ.

ქრობენ, რომ ვილსონი პარიზში ჩება საზავო ხელშეკრულების ხელის წერამდე, მაგრამ გერმანელებმა არ დააგვიანონ პირობების განხილვა, განსაზღვრული ვადა მისცეს, ისე, მოლაპარაკება ივნისის 15 თვის დასრულდეს.

ბულგარეთმა ანტანტის ელჩებს წინასწარ აცნობა, რომ თავის დელეგატებს პარიზში საზავო ხელშეკრულების ხელის მოსაწერად უნგრეთის დელეგაციის მოწვევაზე, მაგრამ არის იმის შესახებ გერმანიის ხელშეკრულებაში. ასეთია სამხრეთი ტიროლი, რომელსაც ავსტრიას ჩამოაშორებენ და იტალიას შეუერთებენ, ქ. გოცენს და მერანს და დაახლოვებით 250,000 გერმანელ მცხოვრებს.

ეს აიხსნება იმით, რომ საჭირო იტალიისათვის შეიქნეს სტრატეგიული საზღვარი, რომელიც იტალიას ჩრდილოეთის მხრიდან დაცვის საშუალებას მისცემს. ასეთი საზღვარი ალპის სამხრეთით იყო ისეც, რომ ავსტრიის ხელში ყველა მაღლობი რჩებოდა. ახალი საზღვარი ის საზღვარია, რომელიც შემუშავებულ იქნა ლონდონის საიდუმლო ხელშეკრულებით. იტალია მის მოპოვებას ჯერ კიდევ დროებითი ზავის დროს სცდილობდა და ეხლა საზავო ხელშეკრულებით მიიღო.

უნგრეთის მთავრობას აქამდე დადებითი პასუხი არ მიუღია პარიზში საზავო ხელშეკრულების ხელის მოსაწერად უნგრეთის დელეგაციის მოწვევაზე, მაგრამ არის იმის ნიშნები, რომ ბელაკუნი გახირებულია, რომ ეძლევა საშუალება ურთიერთობა დაამყაროს დანარჩენ ქვეყანასთან.

საზავო ხელშეკრულებაზე გამოხმაურება ამერიკიდან ძალიან სუსტია. იმ დროს, როდესაც ცნობებია, რომ სენატის ოპოზიციის პარტია ცდილობს, ხალხთა ლიგის პირობები გამოყოფილ იქნეს ვერსალის საზავო ხელშეკრულებიდან, უკანასკნელი დაამტკიცონ, ხოლო პირველისთვის რეფერენდუმი მოახდინონ.

ახალი ამბავი

ქუთაისი.

კვირას, 18 მაისს ქუთაისი მიტროპოლიტი ნაზარი სწირავს სამხედრო გოსპიტლის ეკლესიაში.

სოხუმის ქალაქის არჩევნები. როგორც ჩვენს გაზეთში იყო აღნიშნული ქ. სოხუმში ქალაქის არჩევნებში არა სოციალისტურმა ბლოკმა გაიმარჯვა. 40 ხმოსანიდან 22 არა სოციალისტურმა ბლოკმა გაიყვანა. პარტიებმა ხმოსნები ამ რიგათ გაიყვანეს: ეროვნულ დემოკრატებმა 8 ხმ., სო.-დემ. 8 ხმ., სოც.-ფედ. 5 ხმ., სოც.-რევ. 6 ხმ., (ესარგებლა რუსებმა მისცეს ხმა), ელინთა საზოგადოებამ 8 ხმ., ებრაელებმა 2 ხმ. და 1 პოლონელებმა.

რედაქციამ მიიღო. საექიმო მეცნიერების ქართული-რუსული და რუსული ქართული ლექსიკონი შედგენილი ექიმ ევსევი გიორგის ძე ლოსაბერიძის მიერ. ლექსიკონი გამოცემულია „განათლების" ამხანაგობის მიერ. წიგნი შეიცავს -75 გვერდს.

ბოლშევიკების შემოჭრა რაჭაში. სახალხო გვარდიის მთავარ შტაბში მიღებული ცნობით, რაჭაში შემოჭრილან დენიკინთან ბრძოლაში დამარცხებული ბოლშევიკები, რიცხვით 400 კაცამდე. რაჭის სახალხო გვარდიას მათთვის იარადი აუყრია.

დღეკარგე უვადო ბილეთი ქალაქ ქუთაისის სადგურზე ნიკიფორე გიორგის ძე ხუხუნაშვილმა ვთხოვ მნახველს გამომიგზავნოს გენერლის ქუჩაზედ ჩემს საკუთარ სახლში მპოვნელი მიიღებს ას მანათს ნიკიფორე ხუხუნაშვილი.

ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ ლევანტი უკლება, რომელიც მსახურებდა პირველი პოლკის მე-15 როტაში და იბრძოდა ახალციხის ფრონტზე— დიდი ხანია მის შესახებ არაფერი ცნობა მოსულა. ვინც მის შესახებ რაიმე იცის სთხოვენ შეატყობინონ ჰირისუფლებს შემდეგი მისამართით: თბილისის ქუჩა. ჯანელიძის სახლი ი. უკლებას.

ოქმის შეუნება უსუფთაობის გამო. სანიტარულმა კომისიამ 9 მაისს ყარამან იმედეიშვილს, ორბირის ქუჩაზე შეუყენა ოქმი ეზოში უსუფთაობის გამო.

დანიშვნა. ქუთაისის ერობის გამგეობის თავმჯდომარე კ. ა. სულაქველიძე დაინიშნა შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრატიულ ნაწილის ინსპექტორის მოვალეობის აღმასრულებლათ, ხოლო შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრატიულ ნაწილის ინსპექტორის მოვალეობის აღმასრულებელი შ. ნ. მაღლაკელიძე, თანახმათ თხოვნისა, თანამდებობიდან და სრულიათ სამსახურიდან დათხოვნილია.

პარტიული ცხოვრება.

ს. თერჯოლა (თერჯ. საზოგადოება). კვირას 11 მაისს თერჯ. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ბიუროში მოხდა თერჯ. საზოგადოების ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის კრება. კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა მათე მაკარაძე, მდივნად ვლად. ნემსიწვერიძე. გასარჩევი იყო შემდეგი საკითხები: 1. პარტიული მუშაობა, 2. ბეჭდების შეძენა, 3. პარტიული გაზეთების შეძენა და სხვა...

მოხსენებას აკეთებენ: მათე მაკარიძე, ვლადიმერ ნემსიწვერიძე და კონსტანტინე ხიდიბეგიშვილი. კრების გადაწყვეტილება: თერჯ. საზოგად. თვითმყოფელში დაარსდეს კომიტეტი, კომიტეტმა უნდა იმუშაოს ენერგიულად, ნათლად გაანგებინოს ხალხს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პროგრამა და მოძღვრებანი; შეიძინოს ბეჭდები, ეთხოვოს გაზ. „საქართველოს" და „ჩვენი ქვეყნის" რედაქციებს, რომ უფასოთ დაუთმონ ბიუროებს (თუ მოსახერხებელია) ეს გაზეთები. დასასრულს კრება ადგენს ყოველ მეორე-მეორე კვირას შევიკრიბოთ (მთელი თერჯ. საზ. ეროვნ. დემოკრატ. პარტიის წევრები) ს. თერჯ. ბიუროში სხვა და სხვა საკითხების განსახილველათ.

ვ. გუთნურისპირელი.

ნ. ჩხეიძის 25 წლის იუბილეს გამო.

თავისუფალნო მოქალაქენო!

ისტორიულმა ბედმა ვრგუნა ბატონად საქართველოს მძიმე და საშინელი უღელი რუსთა მონობისა; არ იყო არც ერთი დარგი ჩვენი ცხოვრებისა, რომელსაც არ განეცადა საშინელება ამ უცხო ერის ბატონობისა, რასაც აშკარად მიყავდა მთელი ქართველი ერი გადაგვარებისკენ და უკანდიდა მას მთლიან განადგურებას. ამ განსაცდელის დროს ქართული თეატრი იყო ერთ ერთი ოაზისი სადაც ჩქეფდა ერის სული და გაისმოდა მისი საუკეთესო მისწრაფებათა სურვილები.

ერის აღორძინებისათვის დიად მსახურთა შორის ბრწყინვალე ადგილი უჭირავს ჩვენ საყვარელ მსახიობ ქალს ნინო ჩხეიძეს. წელს შესრულდა 25 წელიწადი მას შემდეგ, რაც პირველად გამოვიდა იგი ქართულ სცენაზე. მიუხედავად მრავალ დამაბრკოლებელ პირობებისა, ნინო ჩხეიძემ შესძლო თავისი მხატვრული ნიჭის სავსებით გადაშლა და მომხიბლავი თამაშით შექმნა განსაკუთრებული განწყობილება ქართულ სცენაზე.

25 წლის განმავლობაში იწვოდა იგი სცენის სიყვარულის ცეცხლით და დაუშრეტელ ენერგიით განაგრძობდა ეკლიან გზაზე ლამაზ ქანდაკებების ჩამოსხმას.

25 წლის განმავლობაში მაღლიანი წერაქვით თლიდა იგი ნაირ სახეებს. გრძელი და ჯადოსნური მწვანე ხეივანი, სადაც ანათებენ დატანჯულ, გმირ და უძირო სიყვარულით გამთბარ სახეების ნათელი ნიღაბები.

25 წლის განმავლობაში ხელგადაჭდობილი გვასეირნებდა იგი და გვიფაქიზებდა გულს მშვენიერ განცდებით მოკაზმულ ხეივანში.

ნინო ჩხეიძე! რომელ ქართველს არ ულვივის გულში ამ ქართული სცენის სიყვარულით დაავათმყოფებული ქურუმი ქალის პატივისცემა?

ვის გულში არ ჩარჩენილა წარუშლელ კვალად ნუცას მიერ განსახიერებული უკვდავ გმირების მოხიბული პროფილები?

ვის გულში არ აჭვითინებულა ნუცას მგრძნობიარე ხმები და არ მოუბერავს დაღრღილ თვალებისთვის განწყმები ცრემლები?

ქართველი ერი ვერ დაივიწყებს მათ მოციქულებრივ სახეებს, ვინც საერთო ქარტეხილის და დაქვეითების დროს ჩაუმქრალ ჩირაღდნებით უძღოდა მას. ჩვენ, გუშინდელ მონებს, დღეს საერთო განახლების და თავისუფლების დროს არ შეგვიძლია მოწიწებით და აღფრთოვანებულ პატივისცემით არ გავიხსენოთ ეს სახელები. ქართული თეატრი ხომ ჩვენში არ ემსახურებოდა იმდენად წმინდა ხელოვნების, რამდენად ეროვნული სულის და შემეცნების გაღვივებას. ქართული თეატრი ხომ ერთ ერთი ტაძარი იყო, სადაც ქართველს შეეძლო შესულიყო, დაესვენებია აღელვებული გული და დაეტკბო სული ქართული სიტყვის სილამაზით.

და ნინო ჩხეიძე მით უფრო სათაყვანებელია ჩვენთვის, რომ მან წმინდა ესთეტიურ სახეების გარდა შეგვინახა და გაადვიძა მიძინებული ეროვნული გრძნობა დამონებულ ერის შვილებისა.

ვის არ უნახავს და არ დამტკბარა ნუცას „ზეინაბის" სახით, ვის გულში არ გამოუწვევია მას წმინდა სიყვარული საქართველოს წარსულისადმი და პატრიოტული გულისცემა სამშობლოს ტანჯვისათვის?

ვის გულში არ აუნთია „ქეთევანის" სახელს ვაჟკაცური სული წესტან დარეჯანის განსათავისუფლებლად?

ვინ არ მოხიბლულა „მედეიას" ქალური რაინდობით და არ ზიარებულა მის გმირ აღგზნებულ სიყვარულით? ვის გულში არ აუხმაურებია მას კოლხეთისადმი რომანტიული სიყვარული?

ვინ არ აუტირებია ნუცას „მარგარიტა გოტიეს" პატიოსანი ცრემლებით? და ვინ ჩამოთვლის ამ უკვდავ სახეებს, რომ ამშვენებენ ქართული თეატრის მწვანე ხეივანს.

25 წლის განმავლობაში დაუსვენებელ შრომით და მხატვრული გემოვნებით აცოცხლებდა ნუცა ქართულ თეატრს.

25 წლის განმავლობაში ეწმახურებოდა იგი ქართულ ხელოვნების ტაძარს და ქართველ ერს.

მარად წვაში და დაუზოგველ სიყვარულში გვხიბლავდა ჩვენ იგი შეუდარებელი თამაშით. ქართველი ერი მოვალეა პირველ ივნისს 25 წლის თავზე გაიხსენოს ამ მადლიანი მოღვაწის სახელი და გამოუცხადოს მას შესაფერისი მადლობა, გამოუტყდეს თავის ღრმა პატივისცემაში.

თავმჯდომარე საიუბილეო კომიტეტისა ივ. პურადაშვილი.

თავმჯდომარის ამხანაგი ან. კოსტავა.

წევრები: მ. ვარდოსანიძის ასული, ან. ქავთარაძისა, ნ. ცაგარეიშვილის ასული, ნ. ბარათაშვილის ასული, დ. კლდიაშვილი, ალ. გარსევანიშვილი, შ. აფხაიძე, კარ. ბერიძე, ალ. ბოკერია, ალ. თორაძე, გრ. ჯაფარიძე, თ. ჭუმბურიძე, პავლე უზნაძე.

დრ. საზ. გამგ. წევრნი: მ. ლორთქიფანიძე, ელ. მეფისაშვილის ასული, ალ. სანიკიძისა, გრ. აბაკელია, სოსო ასლანიშვილი, ალ. ლოლაძე, დავ. ჩხეიძე, ჯ. ჯორჯიკია.

საიუბილეო კომისიის მდივანი დავით წერეთელი.

დეპეშები.

(სააგ. დეპ. სააგ.).

ბალშევიკების ცნობები.

მოსკოვი. სამხედრო ცნობა. ჩრდილოეთის ფრონტი. ჩრდილოეთ დვინის მიმართულებით მტერი საარტილერიო ცეცხლით მოვიგერიეთ. დანარჩენ რაიონებში მდგომარეობა უცვლელია.

სამხრეთის ფრონტი. იუზოვკის რაიონში ჩვენ კვლავ დავიჭირეთ. დებალცევოს სამხრეთით ჩვენ ბაშკოვსკო, ნიკატინის ხაზისკენ დავიხიეთ. ლუგანის რაიონი. ჩვენი ჯარი შჩელოვკა სად. როდაკოლტაიის ხაზზე გადვიდა. დამატებითი ცნობებით ნოვო-ბეტელდაროვკასთან მოწინააღმდეგის განდევნის დროს ჩვენ ტყვედ წამოვიყვანეთ. ხოლო ვიგდეთ ერთი ზარბაზანი, 20 ყუმბარა და ტყვიები. ტიხორეცკაიას მიმართულებით მანიჩზე მოწინააღმდეგის იერიშები მოვიგერიეთ. ვლადიკავკაზის სამხრეთით ბრძოლა გრძელდება.

ხარკოვი. მაისის 11. ყოფილი პეტლიურას მომხრე გრიგორიევმა, რომელმაც უარი განაცხადა ფრონტის დაცვაზე, მოახდინა საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ აჯანყება. გრიგორიევის აჯანყების ჩასაქრობად ყოველგვარი დაუზოგავი ზომებია მიღებული. გრიგორიევმა გამოუშვა უნივერსალი, რომელშიც შემდეგს ამბობს: მიწის და თავისუფლების მაგივრად მშრომელმა ხალხმა კომუნა, საგანგებო საგამომძიებლო კომისიები და კომისარები მიიღო. უნივერსალში, რომელიც სავსეა შხამით და ანტისემიტიზმით. გრიგორიევი მიმართავს მცხოვრებთ ნაკაზით 3 დღის განმავლობაში შეიარაღდენ ძალა-უფლების ხელში ჩასაგდებად. გრიგორიევი ამბობს, რომ აჯანყება მიმარ-

თულია მხოლოდ რაკოვსკის და პავლენკოს წინააღმდეგ. გრიგორიევი პირმოთნეობით პირდება საბჭოთა ყრილობის მოწვევას. შემდეგ გრიგორიევი ატამანს უწოდებს თავის თავს. თავის მოადგილედ გრიგორიევი ასახელებს პეტრიაშნიკოვს, გერბენკოს და მასენკოს, ყველას თავის ცნობილ მომხრეებს. ატამანის შტაბში შედიან ანტისემიტები, სეტეშენკო, იასინსკი, ბონდორა და პავლოვი. გრიგორიევის ავანტიურასთან ერთად მეუმცირესე შემარცხენე ესერებმა და მენშევიკებმაც მობილიზაცია გამოაცხადეს გრიგორიევის აჯანყების ლიკვიდაციის მიზნით.

ოდესა. მაის. 14. ელისვეტგრადის გლეხთა ყრილობამ პირდაპირ დაგმო გრიგორიევის ავანტიურა. გრიგორიევის წინააღმდეგ ოდესაში აქტიურად გამოდიან ანარქისტები, მეუმცირესე მემარცხენე ესერები, უკრაინის ესერები და მენშევიკებიც კი.

კიევი. მაისის 11. მუშათა და გლეხთა თავდაცვის საბჭოს დადგენილება: მაშინ, როდესაც მთელი საბჭოთა უკრაინა მთელ ძალ-ღონეს იმას ახმარს, რომ საბჭოთა რუსეთთან ერთად განდევნოს ბატონები და მონები, როდესაც წითელი ჯარი მზათ არის გესარაბიიდ და ბუკოვინა გასწმინდოს რუმინიის მემამულეთაგან და წითელ უნგრეთის ხელი გაუწოდოს, უკრაინის სოციალისტურ რევოლუციის მტერმა მემარცხენე ესერებმა ბოროტი ხელი აიმოქმედეს. შეთქმულების მეთაური ჰეტლიურას ბანაკიდან გამოქცეული გრიგორიევი. სამხედრო ზომებთან ერთად მუშათა და გლეხთა თავდაცვის საბჭომ დაადგინა: 1) გრიგორიევი და ყველა მისი უახლოესი თანამშრომლები კანონს გარეშე გამოცხადდენ. 2) საბჭოთა უკრაინის ყოფილი მოქალაქე და კერძოთ ყოველი წითელი ჯარისკაცი მოვალეა ისინი დახოცონ. 3) ყოველგვარი დახმარება გრიგორიევის და მისი მომხრეების მიმართ რესპუბლიკის ღალატად ჩაითვლება და დამნაშავე დაისჯება რევოლუციონერ დროის მთელის სიმკაცრით—სიკვდილითაც კი (შემდეგ დამატებულია) უკრაინის ც. კ. სხდომაზე კომუნისტების წინადადებას, რომელსაც მოუწოდებს ყველას, იბრძოლოს აჯანყებულ გრიგორიევის წინააღმდეგ. შეუჯერდეს უკრაინის ყველა საბჭოთა პარტიები: სოც.-რევოლუციონერები, მეუმცირესენი, მემარცხენე ესერები, მემარცხენე სოციალ-დემოკრატები და ებრაელთა კომუნისტური კავშირი. ატამან გრიგორიევი, რომელმაც ხერსონის გუბერნიაში რამოდენიმე ქალაქი დაიჭირა, დამარცხებულია. ჩვენ პომოშშნაია და ვლისავეტოგრადი დავიჭირეთ და განვაგრძნობთ მისი ბანდების დევნას.

სიტყვა

იოსებ იოანეს ძე ოცხელის გარდაცვალებაზე. ბინიდან მისი ცხედრის გამოსვენების დროს წარმოთქმული მასწავლებლის დეკანოზ ივლიანე აბესაძის მიერ. 1 აპრილს 1919 წ.

(დასასრული იხ. „ჩვ. კვირა" № 87)

მოვიგონოთ ის წელი, როდესაც ამ გიმნაზიას პირველი კურსი უნდა გამოეშვა სიმწიფის მოწმობა ატესტატებით. იმ წელს მზრუნველმა დანიშნა ისეთი სასტიკი დეპუტატ-გამომცდელნი და იგეთი დირექტივებით წამოგზავნა ქუთაისში, რომელმაც მოწაფეებას გამოკითხვაც კი არ ინება, ისე ზერელედ გადათვალიერა გავლილი პროგრამები და როდესაც დაინახა, რომ მეტი ხლამი, რომელიც მოწაფეების გონება-შეხსიერებას აჩლუნგებს, ნიჭიერ პედაგოგებს გამოუტოვებიათ პროგრამებიდან, გამოუცხადა მათ, რომ თქვენ პროგრამა არ გაგივლიათ, ამიტომ მოწაფეებს ვერც გამოვცდით და უკანვე გაბრუნდა. მთელი ზაფხულის ატუანელი შრომა დასჭირდათ მასწავლებლებს და მოწაფეებს ამ მეტი ხლამის გავლა-გაზეპირებაში და როდესაც სექტემბერში მოწაფეებმა დიდებულათ ჩააბარეს გამოცდები, დეპუტატმა მაინც რამდენიმე ლირსეული მოწაფე ულირსათ ჩასთვალა. ამით მას აურზაურის გამოწვევა უნდოდა, რომ საზოგადოებას სიმპატიის და სიყვარულის მაგივრათ ანტია და სიძულვილი განეცხადებია ამ გიმნაზიისათვის, საზოგადოების თვალში მისი პრესტიჟი დაეცა, მოწაფეებში კი ალშფოთება და მწვავე ინციდენტები გამოეწვია. მაგრამ იოსების შორის გაჭრიახობამ, მისმა მკრეხელმა და მომხიბლავმა სიტყვამ და შესაფერმა ტაქტიკამ დაიხსნა ეს გიმნაზია განსაცდელისაგან და საქმე ჩვენდა სასურველათ და სასარგებლოთ დაგვირგვინდა. მოიგონეთ დეპუტატი კორიაკის დრო, მისი მოქმედება და იმისი შედეგები, რომლითაც მან აწამა-ჯვარს აცვა მოწაფეებიც და მათი მშობლიურ ალმზრდელებიც, მათ მთელი წლობით იტვირთეს და ლირსეულათ ატარეს კორიაკის მიერ მისჯილი წამების ჯვარი. აქაც იოსების გონიერებამ და ტაქტიკურმა მოქმედებამ დაიხსნა ყველანი უბედობათ და ასე მრავალი გზის და სხვა და სხვა სახით იცავდა და იფარავდა იოსები თავის წმიდა ტაძარს. იოსები თავის თავზე, თავის პასუხის ზგებლობაზე ღებულობდა თვითეულს შეცდომას და თვითვე ასწორებდა გაბრუნდულ საქმეს. მას ქონდა განსაკუთრებული ნიჭი და უნარი თანამშრომლობის არჩევაში, ხელმძღვანელობაში და მათი შრომის დაფასებაში, ორგი ყოველთვის ტკბილი მოუბარი და მამულიშვილურ-ძმური დამრიგე, ნაკლულევანების შემჩნეული გამასწორებელი პიროვნება იყო და მისი შენიშვნები კეთილ მოძღვრული სწავლება განვითარება იყო. ამას ყველანი გრძნობდენ, იფასებდენ და ამიტომაც ამ სასწავლებელში ამდენი ხნის განმავლობაში მსახურთა შორის ერთსულოვნება, ძმობა და შეგობრობა სუფევდა და სუფევს. აი, ის არის წმიდა ტაძარი, სადაც ყველანი ერთად მასწავლებელ-მოწაფენი ერთი სულითა და ერთი გულით ლოცვილობენ, სწავლობენ და ვითარდებიან. ეს არის ისეთი დიდი კეთილი ოჯახი, სადაც თითოეული წევრი თავის საქმეს კეთილ სინდისიერათ ასრულებს და ამიტომ ყველანი ერთი მეორის კმაყოფილნი და მადლიერნი არიან. ამ გიმნაზიაში ბ. იოსები ძლევდა თბილისის საფარს ყველას, ვინც სხვათაგან დევნილ დასჯილები იყვენ, დღეს კი ისინი ამას დაადასტურებენ ზეპირადაც და წერილობითაც,, რომ ამით დაიხატოს, აღინიშნოს იოსების სრული პიროვნება, მისი კეთილი ღვაწლი, მისი კრედო: „მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთმძიმენი და მე განგისვენო თქვენ"-ო. აღნიშნული გიმნაზია თავის დაარსების დღიდან მატერიალურის მხრით სილარიბეს განიცდიდა და ამ ნაკლს განსაკუთრებით გრძნობდა მას შემდეგ, რაც საბაზნაურო ბანკის შემოსავალმა იკლო და გიმნაზიის ხარჯებმა კი იმატა. ამ შემთხვევაში იოსები სწორეთ რომ სასწაულთმოქმედი შეიქნა. იმ დროს, როდესაც ჩვენის წარმოდგენით, გიმნაზია მატერიალურის მხრით უკიდურეს გაჭირვებაში იმყოფებოდა ხოლმე, იოსები საკვირველის მოხერხებით სადღაც აღმოაჩენდა მანამდის უხილავ წყაროს და აუცილებელ საჭიროებას აკმაყოფილებდა. მას შემდეგ, რაც ჩვენმა გიმნაზიამ მოწაფეებს პირველი გასათავებელი კურსი დაასრულებია, სიმწიფის მოწმობები დაურიგა და მალე სასწავლებლებში გაისტუმრა, გაიბა განუწყვეტელი ქსელი იოსებსა და მათ შუა, ისინი წერილობით თავიანთ შთაბეჭდილებებს აცნობებდენ იოსებს და შემწეობას და რჩევა-დარიგებას სთხოვდენ, იოსები კი, თავის მხრივ, არც მატერიალურ შემწეობას ზოგავდა მათთვის და მით უმეტეს გონებრივ და ზნეობრივ დარიგებას არ აკლებდა მათ. ამნაირათ გიმნაზიის ლირსი მართველი უნივერსიტეტების სტუდენტებისთვისაც სასარგებლო დამრიგებელი და გამამხნევებელი შეიქნა. მრავალმა სტუდენტმა იოსების პირადი შემწეობით და მის მიერ მოპოებულ-გამონახული საშვალებით დაამთავრა მალალი სასწავლებელი, თუნდა მაგალითად სამშობლოს სამსხვერპლოზე შვერაკიანით შეწირულმა გიორგი ჭუბაბრიამ. თავისუფლების გარიჟრაჟზე, როდესაც დახავსებულმა ბიუროკრატიულმა განათლების სამინისტრომ იგრძნო თავის აღსასრულის მოახლოება და კერძო სასწავლებლებს ნება მისცა ადგილობრივ ხალხოსნურ ენაზე ეწარმოებია სწავლა-განათლების საქმე, გარდა რუსეთის ისტორიისა, გეოგრაფიისა და რუსული ლიტერატურისა, იმ დროს ბ. იოსებმა თვალ-ყური მიაპყრო საქართველოს გულს ქ. თფილისს და იქიდან ელოდა ინიციატივას, თუ როგორ შეუდგებოდენ ჩვენი ორი შვილის—თფილისის და ქუთაისის ქართული გიმნაზიების—ხალხოსნურ ნიადაგზე დაყენებას, მაგრამ თბილისი სდუმდა. მაშინ იოსებმა თვითონ ითავა, გამოიპატიჟა თბილისიდან გამოცდილი და დამსახურებული პედაგოგები ბ. ალექსი ჭიჭინაძე და მიქაბერიძე, მოახდინა ქუთაისის ქართ. გიმნაზიაში პედაგოგიური რჩევა, რომელმაც დანიშნა სხვადასხვა საგნების კომისიები და მიანდო თვითეულ კომისიას მშობლიურ ენაზე სახელმძღვანელოების შედგენა, რომ ამ მხრით შკოლებს-დაბრკოლება არ შეხვედროდათ. დაარსა წიგნის გამომცემლობა „განათლება" და „შკოლა", რომელნიც ახლა უხვათ აწვდიან გაერთვნებულ შკოლებს სამშობლო ენაზე შედგენილ სახელმძღვანელოებს. მისივე ინიციატივით და ხელმძღვანელობით დაარსდა ქუთაისში ჭალთა ქართული შკოლა „სინათლე". იოსები იყო ნამდვილი პედაგოგი აღმზრდელი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

ბ. იოსები ღებულობდა მხურვალე მონაწილეობას ქ. ქუთ. თითქმის ყველა საგანმანათლებლო—საკულტურო—საზოგადო დაწესებულებები და თავის შრომა ენერგიას არ ზოგავდა მათი წარმატებისა და ხალხისათვის სასარგებლო ნიადაგზე დაყენებისათვის. ის იყო შეგნებული, ერთგული და მუყაითი მუშაკი და კეთილსინდისიერათ ასრულებდა თავის მოქალაქეობრივ მოკალეობას.

ჩვენი სამშობლოსათვის იოსები იყო ერთ ფხიზელ დარაჯთაგანი და არავის აძლევდა მის საზარალოთ მოქმედების ნებას. მისთვის ის თავდადებული მუშაკი იყო. იოსები იყო სამშობლოს წრფელი შვილი, ის იყო ნამდვილი პატრიოტი ამ სიტყვის ჭეშმარიტი მნიშვნელობით. ქართველმა ერმა მასში დაკარგა ერთი უძვირფასესი და უერთგულესი მამულიშვილი.

აი, ვის დავსტირით თავს დღეს ჩვენ ყველანი და ვისი უდროოთ დაკარგვა გვიწყლავს-გვიწამლავს გულსა და გონებას. ვიტიროთ ყველამ! იტირეთ დაობებულ გიმნაზიის მასწავლებლებო და მოწაფეებო, იტირეთ მათნო მშობელნო! იტირეთ ქუთაისის მცხოვრებნო! იტირეთ ქართველნო ხალხო! მაგრამ ნურც ერთი თქვენთაგანი ნუ მიეცემა სასოწარკვეთილებას, ნუ დაკარგავს მომავლის იმედს და ნუ იქნება გულზე ხელდაკრეფილი, რადგან იოსების მიერ უხვათ მოთესილი კეთილი თესლი საქებრათ აღმოცენდა, მრავალმა კიდეც მოიტანა უხვი ნაყოფი და კიდევ უმრავლესი მათგანი აწი მოიტანს. ესენი არიან იოსების მიერ აღზრდილნი, განვითარებული და გათვითცნობიერებული მამულიშვილნი. ისინი იოსების სულიერი შვილები—იდეური მოწაფეები არიან და ხომ გაგიგონიათ ბრძნული ანდაზა: „ისა სჯობს მამულისათვის, შვილი რომ სჯობდეს მასაო", შიბაძეთ თავის დიდ მასწავლებელს და ეშრომეთ ემსახურეთ ძვირფას სამშობლოს.

ახლა კი უკანასკნელათ გესალმე ძვირფასო იოსებ! მშვიდობით დიდებ ბოგანო კაცო! მშვიდობით ნამდვი ადამიანო! მშვიდობით ჰეშმარიტო სტიანო! შენი კეთილი ხსოვნა მ იქნება თვითეული ჩვენთაგანის გულ ჩვენი გული არის შენი საუკუნოთ რუშლელი დაუვიწყარი სამარე.

შენი მუდმივი ძეგლია შენ მიერ თლებული და გათვითცნობიერებ ახალგაზრდობა, რომელიც თავის ლებს და შვილი-შვილებს ნათლად ხატავს თქვენს სხივ მოსილ პიროვნ როგორც კეთილ მისაბაძავ მაგალითს ჩაუნერგავს გულში შენდამი მიბაძვის რვილს. შენი ძეგლის წარწერა,— ეპიტაფია იქნება ის ძვირფასი სტრ ნები, რომელსაც პირუთვნელი, მიუდ მელი და გულწრფელი ისტორიკო გაატარებს რა კრიტიკის ჭარ-ცეცხლ შენს შრომა-მოკმედებას, ოქროს ას ბით აღნიშნავს სამშობლოსათვის კეთილს მოღვაწეობას საქართველოს ტორიის კაბადონებზე. ერთხელ უკანასკნელათ ვესალმები მე პირად მშვიდობით მარად კეთილო, ტკბილ და მართალო იოსებ! განისვენე იქ, დაც რჩეულნი ქართველნი განისვენებ მათ შორის არის შენი შესაფერი ბინ როგორც თქმულია ძველთაგან: „მსგავ მან, მსგავსთათანა განისვენოს". აქ საუკუნოთ დარჩება შენი კეთილი ხსე ბა. ამინ!

ქუთაისის სამაზრო ერთგის საუკრადღეგოთ.

სამშინელმა სიძვირემ ყველა დარგ ცხოვრებისა შესცვალა, ასეთმა სიძვირ საზოგადოების ერთი ნაწილი ეკონომ ურათ დასცა და მეორე ნაწილი კი გა ცილებით აღამაღლა, მაგრამ ეს გარემო ება ყოველად დაუშვებელია ისეთ დარგ ში, როგორიცაა განათლების ნაწილი.

ქ. ქუთაისში დღეს არსებობს რამო დენიმე კერძო სასწავლებლები, ერთი ასეთი სასწავლებელთაგანის გამგე (მხ დველობაში გვყავს ქალების კერძო სას წავლებელის გამგე ქ ნი კვინიხიძისა). ბა ზარზე მიხედვით სწავლის ფასს წელი წადში რამოდენიმეჯერ უმატებს, რასაც საზოგადოების ერთი ნაწილისათვის მო აქვს სწავლა განათლების მხრივ დიდი დაბრკოლებანი. მაგალითად ხსენებულ სასწავლებლის გამგემ ამ ერთი კვირას წინათ მოწაფეთ გამოუცხადა, რომ თუ დამატებითი ხუთხუთი თუმანი არ წარრუდგენიათ, იმ შემთხვევაში სასწავლებელში არ შემოუშვებს და არც წლიურ გამოცდებზე დაუშვებს. ამას უცხადებს მოწაფეებს იმ დროს, როდესაც ზოგიერთ მათგანს დიდის გაჭირვებით უკვე გადაუხდიათ წლიური გადასახადი 300 მანეთი და ამ 3—3 კვირის შემდეგ მოწაფენი საზაფხულოთ უნდა დაითხოვონ. ასეთ უსამართლობაზე, როდესაც მოწაფეებმა მიუთითეს გამგეს, მან უპასუხა შემდეგი: „ბაზარზე ფასებმა აიწიაო და სწავლის ფასს მეც უნდა მოუმატოვო", ასეთი პასუხი მოგვაგონებს დღევანდელ „სპეკულიანტებს". ამის გამო ჩემი შვილი ერთი კვირაა არ დადის სასწავლებელში, ვინაიდან გამგემ არ დაუშვა სწავლაზე, მიუხედავათ იმისა რომ ფულის მიტანა დავპირდით ნ დღის შემდეგ.

ასეთ გარემოებას საჭიროა ერობამ დროზე მიაქციოს ყურადღება და პასუხი მოეთხოვოთ ასეთ სასწავლებლების გამგეთ.

მოწაფის მშობელთაგანი.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.

წრეფლმბეჭდავი „ძმობა" პუშკინის ქუჩა სახლი გაკეთებისა ქალაქში.